საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი № 1/9 " 7 " თებერვალი 2023 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტისათვის სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებულმა სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტმა 2023 წლის 26 იანვრის №06-608 წერილით მომართა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და მოითხოვა თანხმობის მიცემა საერთო სასამართლოებში 2023 წელს დაგეგმილი სარემონტო/სარეკონსტრუქციო და საპროექტო სამუშაოების განხორციელებაზე. ამასთან, საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ იქნა აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების მიზნით საჭირო საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 13 აგვისტოს №239 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსათვის ან საჯარო სამართლის იურიდიული პირისათვის სარგებლობაში გადაცემული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის შედეგად მიღებული ან დემონტაჟის შედეგად მისაღები ვარგისი ნაწილებისა და მასალების ამ ორგანოს ან საჯარო სამართლის იურიდიული პირის მიერ აღნიშნული შენობა-ნაგებობების რეკონსტრუქციის, რემონტის, დემონტაჟის ან ლიკვიდაციის ხარჯების მთლიანად ან ნაწილობრივ დაფარვის მიზნით გასხვისების ან სხვა ნებისმიერი სახით განკარგვის წესის" მე-3 მუხლის საფუძველზე, თანხმობა მიეცეს სსიპ - საერთო სასამართლოების დეპარტამენტს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად განახორციელოს წარმოდგენილი შენობა-ნაგებობების სარემონტო/სარეკონსტრუქციო და საპროექტო სამუშაოებთან დაკავშირებული ღონისძიებები „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით საერთო სასამართლოებისათვის გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი